ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3841693

ნომერი: AR1578860

თარიღი : 19.02.2018

გაცემის თარიღი : 27.02.2018

გაცნობის თარიღი : 04.03.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი VIII, კორპუსი 2, ბინა #26;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამარ გოგოძე პ/ნ 01008014709
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 32 ბ. 42

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. მისო რიკო ექსპრესი კოდი: 205034539

ნომენკლატურა :

- მიშენებული - დაშენებული
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (მიშენება)

დღეის მდგომარეობით წარმოდგენილ AR1578860 განცხადებას აღენიშნება ხარვეზები, კერძოდ:
წარმოსადგენია დალი ურუშაძის მიერ გაცემული თანხმობა, სალეგალიზებოდ წარმოდგენილი ფართობის ლეგალიზებაზე, სათანადო წესით დამოწმებული.
ნახაზზე საკადასტრო საზღვრები არ არის დატანილი, ნახაზზე არც მოაჯირებია დაფიქსირებული და არც ფანჯარა არ

ემთხვევა ფოტოებით წარმოდგენილს.
არ არის წარმოდგენილი სალეგალიზებო ობიექტის 2007 წლის I იანვრამდე დასრულების დამდგენი დოკუმენტი.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური განმარტავს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-51 დადგენილების მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, „თუ განმცხადებელი სამსახურს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, სამსახური განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენისათვის“ და „თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული. სამსახური უფლებამოსილია განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ ცალკე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოსცეს.“

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

1. დაევალოს განმცხადებელს 10 დღის ვადაში ფართობის ველებში დააფიქსიროს ობიექტის ზუსტი ფართობი და დამატებით წარმოადგინოს:
ა) შესწორებული და არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანილი აზომვითი ნახაზი.
ბ) მშენებლობის 2007 წლის I იანვრამდე დასრულების დამდგენი დოკუმენტი.
დ)დალი ურუშაძის მიერ გაცემული თანხმობა, სალეგალიზებოდ წარმოდგენილი ფართობის ლეგალიზებაზე, სათანადო წესით დამოწმებული.
2. ზემოაღნიშნულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში განცხადება დარჩეს განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.